

მწყეპსი

კრწანული
ბელინიანი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 20

1883—1897

30 ოქტომბერი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთ 3 მან.	12 თვეთ 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით:

Въ Кавказѣ, въ редакціи „Микелси“ и „Пастырѣ“.

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს


სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რედაქციისაკან.

უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთ, რომელთაც დღემდის გაზეთის ფასი არ შემოუტანიათ, დაუჩქარონ ფულების გამოგზავნას. მარტო ჩვენში არსებობს ახირებული ჩვეულება: გაზეთის ფულს იგზავნიან არა წლის დამდეგს, ე. ი. გაზეთის გამოწერისათანავე, არამედ წლის დამდეგს. თუ რედაქციები თავიანთ მკითხველების მდგომარეობაში შედიან და უფულოდ უგზავნიან გაზეთს ზოგიერთ ხელის მომწერთ, ეს უკანასკნელნიც ვალდებულნი არიან წლის დასდეგს მაინც წარადგინონ ხვედრი ფული რედაქციებში.

მეტიკის წიგნის მესამე ნაწილის საჭიროება მონასტრებში.

თხუთმეტი წელიწადი მეტია, რაც რუსეთში აღიმჩნა კითხვა, რომ მონასტრებში იქონიონ მეტრიკის წიგნის მესამე ნაწილი საჭიროებისათვის. უძღლესმა მართებლობამაც საჭიროდ დაინახა, რომ მონასტრებში ეველგან იქონიონ მეტრიკები შთასწერად გარდაცვა-



ლებულთა, მაგრამ ჩვენს მხარეში არც ერთ მონასტერში არ იმეკონება ეს წიგნი. ჩვენის აზრით უმნიშვნელო არ იქნება, რომ მეტრიკაში იწერებოდნენ ვეკლა კარდაცვალებული ბერ-მონაზონნი; სოკიერთები ამტკიცებენ, რომ ბერ-მონაზონნი, როგორც კასულნი ამ ქვეყნიდან, საჭირო არ არის იწერებოდნენ ამ ქვეყნურ საბუთებში. მაგრამ ეს აზრი, ვგონებთ, შემცდარი უნდა იყოს. თუ რუსეთში დაინახეს საჭიროდ მეტრიკების ქონება მონასტრებში, ჩვენ მონასტრებშიც არ უნდა იყოს უადგილო და უმნიშვნელო ამ მეტრიკების შემოღება. ბერ-მონაზონთა რომ თავი დაუანებოთ, მონასტრებში სცხოვრებენ მოღრჩილად მრავალნი ჰარნი, რომელთა სიკვდილი სშირად მეტრიკაში ჩაუწერელი რჩება. ამ უკანასკნელთა კარდაცვალების აღნიშვნა საჭიროა სტატისტიკური ცნობისათვის და სხვა გვარად.

დევ. დ. ლამბაშიძე.

წერილი რედაქციისადმი

მამო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ ჰატივცემულ გაზეთ «მწყ. მსის» მახლობელ ნომერში სიმაღლის აღსადგენათ, ადგილი დაუთმოთ ჩემს მცირე პასუხს: «ცნობის ფურცლის» № 336 ბ. ჭ. იორამმა გამოილაშქრა ჩემდა რწმუნებულის საეკლესიო სამრევლო სკოლის შესახებ. იგი ბრძანებს: ს. მეღვრეკითში იანვრიდან მღვ-

დლის კენჭადის თაოსნობით სკოლა გაიხსნა, მაგრამ ამ კეთილ საქმეს არ თანაუგრძობენ აქაურები და დახმარებას არ უწევენ. თვით სკოლა გამართულია ძამა კენჭადის სახლში, რომელმაც სკოლას დაუთმო ერთი ოთახი უფასოდ სამის წლით, მაგრამ ეს ოთახი ძრიელ ჰატარა და სკოლისთვის ძრიელ უხერხული. ბატონი იორამი შეეჯდომით სწერს ამ სტრიქონებს. სიმაღლეს აღსადგენათ მოვივანთ შემდეგ საბუთებს: 13-ს მაისს ამა 1897 წელს მ. თ. მ. მაღალ მეუფებამ კეთილ ინებეს და დაათვალიერეს ჩემდა რწმუნებული საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ძალიანაც მოეწონათ და დიდათ კმაყოფილნიც დარჩნენ. დასამტკიცებლად ამისა ხელთა გვაქვს მათ მაღალ მეუფებისაგან კლასის ყურნალში ჩაწერილი მადლობა და ქება სკოლისა და აგრეთვე მოგზაურობა მათ მაღალ მეუფებისა და საქართველოს ეკლესიების დაათვალიერება (იხილეთ Дух. Вѣст. Груз. Мѣсярхата № 15, აღწერილი იგუმენის კირიონისაგან). მათ მაღალ მეუფების გარდა სკოლა დაათვალიერეს ეპარქიის და მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურეთ: ბ. ნიკოლოზ გაბრიელის ძე ტატიშვილმა და მამა ბენიამენ კონტრძემ და გორის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლმა ივ. ნე. დავითის ძე სულხანიშვილმა, მაგრამ არავის მათგანს წუნი არ დაუდვიათ სკოლის ოთახისთვის, გარდა იმისა, რომ მადლობას გვეუბნებოდნენ ამ კეთილი საქმის დაწუბობისათვის. კიდევ ბრძანებს ბ. ჭ. იორამი, რომ სოფელი ყურს არ იბერტყავს მის გაუქმობესობაზედ, რომელთაც შეუძლიანთ თავიანთი დაღუბილი ჰურის მადაზის გადაკეთება, რომელიც ბევრი არ დაუჯდება სოფელს მით მომეტებულად, რომ არნიმანდრიტმა შესწირა 15 მანეთი და 15 კოდი ჰური სკოლის შესაკეთებლად და ამ გვარი დახმარება ყოველ წლიურად აღუთქვა თვით მამა კენჭაძემაც წელიწადში სამი თუმანიო. ეს დახმარება აღუთქვი მე 35 მანეთით ყოველ წლივ და არნიმანდრიტმაც ზემოთ ნაჩვენები სკოლის შესაკეთებლად კი არა, როგორც ბ. იორამი ბრძანებს, არამედ მასწავ-

ლებლის ჯამაგირად, რომ ისედაც დაქვეითებულ გლეხ-კაცობას მისცემოდა ჩვენს ღმერთებით შეღავათი. იგივე იორამი ბრძანებს: აქ საჭიროა კარგი მოთავე და საზოგადო საქმის გულ-შემატკივარიო. მასწავლებელი ერთი გლეხის სახლში დადგა და ისრე გასინჯეთ, თანჯრებიც კი არა აქვთო. სასურველია, რომ დროით მიაქციონ უურადღება და მასწავლებელი ისინან ტანჯვა-წვალებს-საგანო, მეტადრე ცუდ ამინდში, როდესაც ვიწრო და უსუფთაო ქუჩები ამ სოფლისა მუხლებამდე არიან გასწილინი ტალახით და სკოლიდგან ოთახი მასწავლებლისა ერთი ვერსის მეტ მანძილზედ იმყოფებაო. აი ამაზედაც რას უპასუხებთ ბ. იორამას: იცოდეს ღმერთმა, ბ. იორამ, რომ თქვენზედ მეტი გული ჩვენ შეგვტკოვა სკოლისთვის, რაც საქმიოც სჩანს, მაგრამ რა ჩვენა ბრალია, ბ. იორამ, რომ თქვენ არ დასწრებიხართ წელს მ ივნისს ს. მეღვრეკეთში, სადაც კვერცხის ოდენა სეტყვამ მოთლად გაანადგურა ნათესი და ბაღეულობა ვენახებით, რომელმაც ბოქაულის შემოწმებით მისცა ზარალი სოფელს 10520 მანეთი. კდეც მადლობა დმერთს, რომ თითო დღის სიმიდი გადარჩა. თორემ შენი მტერი რომ იმათ საქმე დაემართებოდათ. ნახევარ მცხოვრებზედ მეტმა ვალით იყიდა თესლი და ისრე დასთესა ხნულები და ნახევარზედ მეტს ხნულები დაუთესავი დარჩათ. ამას ახლა ისიც დაუმატოთ, რომ ამავე სოფელზედ ირიცხება სახელმწიფო გარდასახადი „ნელომკა“ 5000 მანეთზედ მეტი. მაშინ, მგონი, გაჩუმდეთ, ბ. იორამ და აღარ გვისაყვედუროთ, რომ არც სოფელი აქცვს უურადღებას და არც საქმის მოთავე და გულ-შემატკივარი ჰყავს სკოლსაო. განა შეიძლება რომ ამ ნაირ დაქვეითებულს გლეხობას ბოქაული დავაყენოთ თავსა ჩაფრებით და სკოლა შევაკეთებინოთ, როდესაც არსობითი პურის ლუკმა ენატრებათ? ჩვენ, რამდენიც კი შეიძლება, ხალხს ჩავაგონეთ სკოლის მნიშვნელობა და სარგებლობა, რომელზედაც ვარი არ განაცხადეს და შეგვპირდნენ, რომ შეძლებისადაგვარ ამ ერთისთვის შემდეგ ი. ი. ნოემბრის პირველიდან შეუდგებით სკოლის შენობის შეკეთებასო. მასწავლებელმაც ხალხს თანაუგრძნო და ერთი თვე მსცა ვ და. მასწავლებელს მეორე დღესვე


მისცეს ერთი მოზრდილი ოთახი, მაგრამ მალე გაუვლეს შუაში კედელი და თანჯრებიც მალე გაუკეთეს, ეს კი თქვენ არ განახამთ, ბ. იორამ.

ბ. იორამ! რათ გაგიზომათ კუს ნაბიჯით, რომ ოთახადგან სკოლამდე ერთ ვერსზედ მეტი გამოგუვო. ბევრი თქვენისთანა «იორამებისთვის» არის დაწერილი სახარებაში „ხედავთ და ვერა ხედავთო«. თუ ან 1/2 ვერსი გამოვა, ჩვენ უოველ შეურაცყოფას და საყვედურს მივიღებთ თქვენგან, მაგრამ ისიც არ არის. თუ თქვენსაებ კუს ნაბიჯით დაკვეწყო სკოლის საქმე, როგორც თქვენ იარეთ სკოლიდგან ოთახამდის, შენა მტერი ჩვენი საქმე იქნებოდა: ან სულ არ გვექნებოდა სკოლა დაარსებული, ან არა და თუ დავიწყებდით, შეიძლება მარტო ფიცარი მოგვესწრო ზედ წარწერით «სამრევლო-საეკლესიო სკოლა» შეგირდები და მასწავლებელი კი მეოცე საუკუნის დასაწყისში გვეყოლებოდა.

ბ. იორამ! როდესაც თქვენ გვაღიროსეთ თქვენი ნახვა, მაშინ ტალახი სად განლდათ და სად ნახეთ მუხლამდის სარევი ტალახი, იქნებ რუმი ჩავარდით და თავი ტალახში გეგონათ? არა, ჩვენში მიწის ნიადაგი ლამია და ტალახი დიდხანს არ იკადებს ბინას. დასასრულ გოხოვთ, ბ. იორამ, რომ სიცრუით გაზეთებში სტრიქონების წერას ისა სჯობიან, საქმით დაგვეხმაროთ, რითაც შეგიძლიანთ, რომ ჩვენც უფრო ხალისით მოვკიდოთ ხელი ამ კეთილ საქმეს, სადაც, როგორც თქვენც ბრძანებთ, ჩვენსა და არხიმანდრიტზედ მეტა გულ-შემატკივარი არა ჰყავს სკოლას.

გამგე მღვრეკის საეკლესიო-სამრევლო სკოლისა, მღვდელი სამსონ კენჭაძე





მცირე პედაგოგიური შინაშენა.

ქველი აზვავი

ქართულად დასტამბულია სხვა-და-სხვა საგნების სახელმძღვანელოები, რომელთაც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სრულიად არ აზით სამეცნიერო დალი. იყო დრო, როდესაც პედაგოგია არ ითვლებოდა სამეცნიერო საგნად, მაგრამ ამ ბოლო დროს კი ყოველ შეგნებულს და გონებით განვითარებულს ადამიანს მიაჩნია იგი მეცნიერებათა მეცნიერებად. მსოფლიო პედაგოგი და მეცნიერი იესო ქრისტე თავის მრავალ-სახოვან სწავლას ერთგან ასე აბოლო-ვებს: ცა და ქვეყანა მიმოვიდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა მიმოვიდნენ». ჩვენი პედაგოგებიც მსოფ-ლიო პედაგოგისაგან აღჭურვილნი უნდა იყვნენ პედაგოგიურის მეცნიერებით და მისებრ ცხადათ და დაქვემდებარებით ასწავლიდნენ ყრმებსა და არა ნა-ნინანობით და იქვეულოობით. წინანდელ პედაგო-გებს, რასაც ასწავლიდნენ, სწამდათ კიდევ, ეხლან-დელებს კი, უმეტეს ნაწილად, თითონაც არა სჯე-რათ, რასაც ასწავლიან. ეს მტკიცდება, სხვათა შო-რის, იმითაც, რომ არც ერთი სახელმძღვანელო წიგნი არ გამოსულა, რომ მის შესახებ ერთი დაუსრულე-ბელი კამათობა, ანუ პოლემიკა არ ამტყდარიყოს. გვიდგენენ დალოცვილები მარტო დავითნისებურ სა-ხელმძღვანელოებსა და გვავალებენ, რომ შეგნებით და გონიერულად ვასწავლოთ მცირე წლოვან ყრმებსა. ფსალმუნთა განმარტებას კიდევ ჰპოვებს სადმე კაცი და ქართულ სამასწავლებლო სახელ-მძღვანე-ლოებისას კი ვერასოდეს ვერსად. მაშინ როდესაც მეთოდური სახელმძღვანელოებს უფრო დიდი მნიშვ-ნელობა აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში, ვიდრე ზე-მორე დასახელებულ სახელმძღვანელოებსა. მარტო ძველი წლების «დედა ენის» შესახებ არსებობს ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურაში მოკლე მეთოდური დარიგება და სხვების შესახებ კი სრულიად არაფე-რია. ამ გარემოებით აიხსნება, სხვათა შორის, ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართულ პირველ დაწყე-ბით სკოლებში სასურველად ვერ მიდის სწავლა-აღზრდის საქმე.

გ. ელგონდაშვილი.

არემა ქართველა

I.

ეს იყო მეფის ირაკლის დროში. ერთს მეფის სანდო არემას ქართველს სხმო გასჩენოდა ენის კლიტულზედ, იწვა, კვენსოდა, ელოდა საშველს, სულს ძლივს იღებდა, ვერას ამბობდა, ებრალებოდა ყველასა მნახველს, შეჩერებოდა თვალითა ზეცას, მუნით იწვევდა სიმრთელის დამცველს.

— დრო მოიკითხა სახლთ-უხუცესმა .. მეფე ირაკლის შეულო კარი და მოწიწებით თაყვანი სცა მას. მეფემ რა ნახა ახლო წარმდგარი, უბრძანა ვეზირს: „სიტყვა გექნება, სამეფოს ჩვენის რამე სახმარი, ან გვეტყვი ამბავს ჩვენის ლაშქრისას, დასცეს თუ არა სპარსელებს ზარი? — მხნევ, ბედნიერო, მან მოახსენა, თქვენი მხედრობა მტერთა მძლეობენ. მაგრამ სხვა რამ მაქვს მოსახსენებლად, რომელს ერთგულნი სხვანიცა გრძნობენ. და თქვენ, ვით მამას, შვილისა ტანჯვა გულმტკივნებასა შემოგვადრებენ. აქ ჩვეულებრივს თქვენს მოწყალეებს უძლურისათვის მოვაგონებენ. თქვენც იცით, მეფევ, თქვენი არემა, დიდი ხანია, ენასა იტკენს; რაც მწუხარებას ის მისგან ითმენს, სხვა ვერ გაუძლებს, ვგონებ, იმოდენს. დღეს კი ილევ — ენა უხმება; ძლივს გამაგონა, სთქვა, თუ იაქმოდეს, „მეფეს შემვედრე — არ შეშვენისო, არემ უჩხუბრად ჩუმად კვდებოდეს“, — აჰა, ვეზირო, მეფემ უბრძანა, დადიანს კაცი ჩქარა მიფრინე;



დანიელ პატრი*) გამომიგზავნოს, ჩემი სურვილი შეატყობინე. იმერეთიდან მარტინო პატრი, ისიც მასთან მომიყვანინე. აქ ვინც გვყავან, ნულარ დააკლებ, შენც იცი — ნესტორ და სერასინე.

II.

ათის დღის შიგნით თქმულნი მკურნალნი ყველანი მეფის დარბაზს შემოკრბენ. რაკი სცნეს მოსვლა მაგა წვეულთა, ძმანი არემას ანუგეშებდენ. ვეზირისაგან მეფეს მოხსენდა და თანვე პატრთა წარმოუდგენდენ. მათ მოისმინეს ნება მეფისა... მამებრ ზრუნვასა მეფეს უქებდენ. სხვათა შორისცა ერთი ქართველი, მეფე ეტყოდა, გვყავს ჩვენ ერთგული; ჭკვიანი, ზრდილი, მხნე — მეომარი, ნამდვილ ქართველად გამოსახული. საჩინოა და გვიშვენებს დარბაზს, მოსაუბრეა სრულ — რიტორული. მაგრამე გვიხრჩობს ენის ტკივილით რაღაცა სენი იგი წყეული. დღეს საგლოველად ერთბამე ქართველთა აგი იურვის, დავრდომილია, ჩვენ ვერწმუნენით თქვენთ მაქებართა, ამბობენ — თქვენგან ეს ადვილია, რომ მას მოგვიჩინეთ, მრთელად გვაჩუქებთ, თუმცა ღონიდან ის დაცლილია. მაგრამ თუ ცას სურს, ყოველი ზრუნვა საუმჯობესოდ სულ ნამდვილია. და ჩვენ, ვით მეფე, დაგაჯილდოებთ, რომ დიდათ აქოთ მონაგებარი. წინაშე თქვენის რომის პაპისა არ გქონდესთ რამე თქვენ საქებარი. მასთან სრულიად ერი ქართველი იქნება თქვენი ძმა, მეგობარი. არ დაივიწყონ თქვენი სახელი, ვინემ არ შთანთქმენ კუბო — სამარი.

III.

სასახლის კაცი წინა მოუძღვის,


*) პატრი — პატერ. ფრანგის მღვდელი, პატრებმა იცოდენ ექიმობაც. რომის პაპა გზავნიდა პატრებს საქართველოში მისიონრებად.

პატრნი შევიდნენ, უძლოურს დახედეს. **დანაელ.** ავამყოფია უფრო საშიშრად რადენიც მისი ჩვენ სხვათა გვითხრეს. **მარტინო.** ყველამ ვიფიქროთ, რაც მას უჯობდეს, რომ ბეჯითობა არა დაგვაკლდეს. **დანაელ (ნესტორს)** თქვენ დაუკვირდით კარგად მაჯასა. და სერასინე თვალს მიაჩერდეს. **ნესტორ.** დიდათა სტანჯავს ენის ტკივილი; ვარესია, შიგნით ირღვევა. **სეფასანე.** მაგრამ ჯერ კიდევ თვალში ეტყობა, რომ წმიდა სისხლი ცოტას ეწევა. **მარტინო.** ის ვერას უჯობს, თუ არ წამალი, ხედავ? თავის გზით აღარ იქცევა. **დანაელ.** ისიც სადღაა? აქა იქ ცოტა, ან ხვალ, ან ზეგ სულ განილევა. **ნესტორ.** ამასთან კიდევ ესეც ძნელია — მაჯა არ უცემს გულის თანახმად. **მარტინო.** ადრე ვერ ვიტყვი მე მის მორჩენას, ხამს ბეჯითობა რადენმე ხან-გრძლად. **სეფასანე.** ენის მორჩენას მაშ ის ჯობია, თირკმელი ქონდეს და კუჭი მას მთლად. **დანაელ.** დიახ, მე ვგონებ, შინაგან მორჩეს, ენას აიშვებს თვითონვე ახლად.

IV.

რა ეგრე ჰსჯიდენ, მისნი იმედნი, ამას ისმენდა საბრალო არემ და როდესაც მას ჩვეულებრივად გაკრა გამოკრა ტკივილმა მწარემ, ამან ანიშნა და მოართვა მას ცოტა ქალღიბი მოსამსახურემ, ძლიელა აიღო ხელში კალამი და ასე სწერდა, შეეძლო სანამ: „უფალო პატრნო! ნუ შეექცევით ოდენ სატკივართ შემეცნებასა, რაკი თვით ხედავთ საუბედუროდ ჩემთა შინაგანთ დასნეულებასა, რომელი მადღევს მე საუკუნოდ განუღვიძებელს დძინებასა, შემეწიენით, გამომიხსენით და ამაშორეთ ტანჯვის ნებასა.

თ. კ. გ. დადიანი.



ახალი ამბები და შენიშვნები.

ამა ოქტომბრის 6-ს სოფელს შუქრუთში (შორაპნის მაზრაში) თავის დედ-მამის ოჯახში, გარდაიცვალა თფილისის სემინარიის მეხუთე კლასის მოწაფე ნიკიფორე ოქროპირის ძე ჩაჩანიძე. ამავე ოქტომბრის 12 რიცხვს, დღით კვირას, დანიშნული იყო განსვენებულას დასაფლავება. ამ დღეს შუქრუთის ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი მამა ნიკიფორე. წირვის და წესის აგების დროს ქართულად გალობდნენ თფილისის სემინარიის მოწაფენი ნაშუადღევს პირველ საათზე დიდი საზოგადოება შეიკრიბა ჭირის-უფლების ოჯახში. მეორე საათზე ჭიათურის რკინის გზის მატარებლით მოვიდნენ თფილისის სემინარიის მეხუთე კლასის ზოგიერთი მოწაფენი. მესამე საათზე სემინარიელებმა მიცვალებულის გვამი სახლიდან ეზოში გამოასვენეს. სამღვდლოება შეუდგა წესის აგებას, რომლის დროს ორ წყებად გალობდნენ ქართულად ერთ მხარეზე ტფილისის სემინარიის მოწაფენი, მეორე მხრით მღვიმის დედათა მონასტრის მონაზონნი. წესის აგების შემდეგ მიცვალებული წაასვენეს ეკლესიაში, სადაც მცირე პანაშვიდს შემდეგ მიცვალებულის გვამი დაკრძალეს.

ტფილისის სიონის ტაძართან დაარსებულმა საეკლესიო საარქეოლოგო მუზეუმის კომიტეტმა დაადგინა და ეს დადგენილება საქართველოს ექსარხოსის მიერ უკვე დამტკიცებულ იქმნა, რომ მუზეუმის წევრთა რიცხვი მიემატოს და წევრებადვე მიწვეულ იქმნენ: ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები ა. ნატროვი და ა. გელივი ტფილისის სიონის ტაძრის კანდელაკი, ა. თათიბაძე და ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლები ნ. მთვარელოვი და ა. ქუთათელაძე.

ამის გარდა კომიტეტმა დაადგინა: 1) მუზეუმი ღია იყოს მსურველთათვის კვირაში ორჯერ ოთხშაბათობით, ნაშუადღევს 3 საათიდან 5-მდე, და კვირაობით, ნაშუადღევს 12 საათიდან 2-მდე. შესვლის ფასი ეღირება 20 კაპ. 2) რაც შეიძლება ჩქარა შეადაროს და განიხილოს წინანდელ გამგეს ბ.ნ თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი კატალოგი მუზეუმის ხელთნაწერებისა და სიძველეთა და რაც შეიძლება ჩქარა დაჰბეჭდოს. ეს შრომა კომიტეტის განაწილებით ყველა წევრთ უნდა იკისრონ. «ივერია»

* *

ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი **ამბავა ცხოველთა საქეთასი**, შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ სურათებით თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი. წიგნი შეიცავს 223 გვერდს და ღირს 50 კ.

* *

ჩვენ მივიღეთ სამი სხვა-და-სხვა წიგნი გამოცემული პ. პ. სოიკინისაგან რუსულ ენაზე პირველი წიგნი **წმ და იოანე ოქროპირი** და მისი გამორჩეული თხზულებანი. მეორე წიგნი **საბნელადან სინათლისკენ**, ისტორიული მოთხრობა ფ. ბ. ფარარისა. ორი ტომი. მესამე **ი. ალტრაუმივი**. „წმიდა ადგილები ჩვენი ჩრდილოეთისა“. «მოგზაურობა წმიდა ადგილებში რუსეთის ჩრდილოეთისკენ. ფასი თითოეული წიგნისა 25 კ.

* *

17 ნოემბერს არის დანიშნული იმერეთის სამღვდლოების ჩვეულებრივი კრება ქ. ქუთაისში. ამ კრებაზე, როგორც მთავრობის მოწერილობისაგან სჩანს, სამღვდლოების დეპუტატებს ექნებათ მსჯელობა ქუთაისის სემინარიის, სასულიერო ოთხკლასიანი სავაქო სასწავლებლის და ეპარქიალური ქალების სასწავლებლის შესახებ. ამ კრებაზედვე ექნებათ მსჯელობა სანთლის ქარხნის შესახებაც. იმედია ყველა საჭირო საგნებზე დეპუტატები ჯეროვანად დამზადებული მოვლენ და კრების მსჯელობას უფრო რიგიანად შეუდგებიან.

* *

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ წელში თფილისში იყო ბაღოსნობის გამოფენა. სხვათა შორის ამ გამოფენაზე წაკითხული იყო რეფერატები მეფუტკრეობის შესახებ სხვა-და-სხვა პირთაგან. ყველა რეფერატებში განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა გრძელმა რეფერატმა ჩვენი შესანიშნავი მეფუტკრის რ. ჩიხლაძისამ. თავის რეფერატში ბ. ჩიხლაძემ სრულებით გააცრუა და უარ-ჰყო ის შემკდარი მოსაზრებანი კავკასიის ფუტკრის შესახებ, რომელთაც ასე მედიდურობით ამტკიცებდნენ ბეჭვდით ზოგიერთი ცნობილი მეფუტკრენი. ჩიხლაძემ წარადგინა სხვა-და-სხვა თვისებისა და დროის თაფლები, და მათში უჩვენა, თუ რა დროს მზადდება ფუტკრისაგან მათრობი თაფლი. სხვა-და-სხვა თაფლებში შესანიშნავი აღმოჩნდა ქონდრის თაფლი. ვისაც ქონდრიანი ადგილები ეახლოვება, უნდა მიექციოს ნამეტანი ყურადღება მეფუტკრეობას, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ამ მცენარეიდან საუკეთესო და ძვირფასი თაფლი მზადდება. ჩვენ მკითხველებს ქართულს ენაზე შევატყობინებთ ამ შესანიშნავი რეფერატის შინაარსს.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ყნეობაზე

სამ მოქალაქისა სამოქალაქისადმი.

სიმდიდრეზე

საუბარი მათ.

არიან ჭეშმარიტნი ქრისტიანნი, და უფალმა უწყის რჩეულნი თვისნი. რჩეულ და მდიდარ ხალხთა შორის არიან პირნი, რომელთაც აქვსთ ჭეშმარიტი სარწმუნოება და კეთილი საქმენი, უბრალო ხალხშიაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც არა აქვსთ სარწმუნოება და კეთილი საქმენი. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ აქ ვინმეს პირად შევეხთ. მაგრამ სიმდიდრე და ამ ქვეყნის დიდება ჩვეულებრივად ჰბადავს კაცის გულში სიამაყეს. ხოლო სიამაყე დედა მრავალ ცოდვათა, რომელნიც შეუნიშნავად ახშობენ სარწმუნოებას და ძირეულად სპობენ კეთილ მსახურებას.

მართლაც, რომელ კაცში უფრო ვხედავთ შეგნიერ, ძვირფას და წრფელ სარწმუნოებას? რასაკვირველია დაბალ ხალხში. იმას სწავს, და არ იძიებს, როგორ სწამდათ მის წინაპრებს და ან რას ასწავებენ მას მისი მწყემსნი. ის არ გედავება; ის მტკიცედ აღგია სარწმუნოების პირველ დაწყებითი სწავლას. იგი ემორჩილება და უჯერებს მწყემსთ, რომელნიც მისცა მას ღმერთმა წინამძღვრად. ნაცვლად ამისა შენ უგნურად სჯი სარწმუნოებაზე და მის საიდუმლოებაზე, აუგებ მის სწავლას, გპულს მისი წესდებანი და დასცინი საწყალ ქალს, რომლის წრფელი სარწმუნოება და სწორი გული ათასჯერ ძვირფასია ღვთის წინაშე, ვინემ მთელი ცოდნა ფილოსოფოსთა. ნუ თუ შენ არ წაგიკითხავს სახარებაში, რომ რაც კაცის თვალში დიდათ მისაღებია, ის ღვთის წინაშე

სისაძაგლეა და ხშირად ის არის დიდი და რჩეული ღვთის წინაშე, რომელიც კაცის თვალში აბუჩად აღებულია?

ვინ ლაპარაკობს სარწმუნოების და მისი წესრიგის წინააღმდეგ? რასაკვირველია ისინი, როგორც თქვენც უწყით, ძმანო ჩემო, რომელნიც სამწყსოში უფრო შესამჩნევნი არიან, და ისინიც ასე ლაპარაკობენ არა მიტომ, რომ ვითომც მათ ნამდვილად ასე სწამდეთ, არამედ იმიტომ, რომ უნდათ თავი გამოიჩინონ უბრალო ხალხის წინაშე, რომელთანაც სასარცხოთ მიაჩნიათ იქონიონ რაიმე საზოგადო ღვთის მსახურების შესრულების საქმეშიაც კი.

ეს სიამაყე მათ შეაქვსთ ღვთის ტაძარშიაც. საწყალი სოფლელი მორჩილად შედის ტაძარში და ლოცვილობს კრძალულებით, ამავე დროს მეორე, რომლის ტანთსაცმელი ცოტა უკეთესია უბრალო ხალხისაზე, ხანდისხან შემოდის ტაძარში ისეთი სახით, რომელიც არ შეფერის ღვთის ტაძარს და არც უბრალო ზრდილობის წესებს ეთანხმება. შენი წინ და წინ მხედველნი თვალნი, ღმერთო ჩემო! არ უტკებრიან ტანთ-საცმელს; იგინი შედიან გულის სილომეში და ხედვენ ყოველივეს, რაც მასში ხდება. ხშირად შენი მადლის და შენი სიყვარულობის სიმდიდრე იფარება ღარიბ პერანგ ქვეშ, ხოლო სხეული, შემოსილი ძვირფასი სამოსლით, ხან-დის-ხან იფარავს თვის შორის სულს, რომელიც დამძიმებულია მრავალი ცოდვებით.

ამავე სიამაყის მიზეზით, ის ხალხნი, რომელთა შესახებ მე ვლაპარაკობ, ისმენენ ღვთის სიტყვას არა თავის სასწავლებლად, ვინაიდან ისინი თავის თავს ნასწავლად სთვლიან, არამედ ზრდილობისათვის, ანუ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ანუ, როგორც ფარისეველი უსმენდნენ იესო ქრისტეს, იმ განზრახვით, რომ ეს სიტყვა დააფასონ ანუ აუგონ თავიანთ მსჯელობის დროს; ამიტომაც არის, რომ ღვთის სიტყვა არ ანათლებს მათ, არამედ აბრმავებს, უბრალო ხალხი კი გულით ისმენს ღვთის სიტყვას და კიდევ სარგებლობს მით. შენ რქვი, უფალო, რომ რომელნიც ვერ ხედვენ, იგინი იხილვენ ნათელს, ხოლო ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ სხვაზე უფრო ცხადათ ხედვენ, ისინი ბრმანი დარჩებიან.

ვინ უფრო ხშირად მიდის წმიდა ტრაპეზის წინაშე? უბრალო ხალხი. თუ ჩვენ სამწყსოში არიან

ქრისტიანები, რომელნიც ძვირად დაიარებიან ტაძარში; თუ ჩვენ სამწყსოში არიან ისეთები, რომელნიც სრულებით არ ასრულებენ წმიდა მოვალეობას, ესენი არიან უფრო დაწინაურებული ნაწილი ჩვენი სამწყსოსა. უფალი იწოდებს მათ პირველად; ისინი უარს ამბობენ და არ მიდიან მწუხრზე, ტაძარი ივსება მიწის მუშებით, მოხელეებით, მოსამსახურეებით და სულ უბრალო ხალხით.

ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთი პირების სიკვდილის დროს ვერ ვხედავთ ღვთის სარწმუნოებას, ხოლო ზოგიერთების სიკვდილი ქაყნის მასწავებელია ჩვენთვის. მე თვითონ ხშირად ვყოფილვარ მოწამე ამ კეთილ გრძობათა, რომელთაც წრფელი სარწმუნოება აქვს, მათ სრულიად არ ეშინიათ სიკვდილის, რომელიც მათის აზრით არის გარდასვლა უფრო უკეთეს ადგილს. როგორც კი ისინი დარწმუნდებიან, რომ მათი ავადმყოფობა საშიშოა, მაშინვე თავს მიანდობენ უფალს, ცდილობენ აღიარონ თავისი ცოდვები და მიიღონ წმ. ზიარება სრულს გრძობასა და მესხიერებაში მყოფობის დროს.

თქვენ თვითონ იცით, რომ ამას არ ჩადიან ისინი, რომელნიც ხალხის თვალში წარჩინებულ და მდიდარ კაცებად ითვლებიან. სიკვდილის გაგონებაზე ისინი ყვითლდებიან და თავზარი ეცემათ; სიკვდილს როგორ გაახსენებ მათ, როცა ისინი კარგად არიან. მათ სრულებით არ ახსოვთ, რომ ერთ დროს ისინიც უნდა გამოეთხოვონ თავიანთ სიმდიდრეს.

აქედან ყველასათვის ცხადია, რომ ისინი, რომელნიც უფრო კარგად და გავებით უნდა გრძობდნენ თავიანთ ქრისტიანულ მოვალეობათა და მომეტებულად ცდილობდნენ მათ აღსრულებას, წინააღმდეგ, სრულებით არ ზრუნავენ ამაზე. ამ საგნის შესახებ მე გადმოგცემთ თქვენ რამდენიმე ჩემ მოსაზრებას, რომელიც, თუ შეისმენთ, თქვენთვის სასარგებლო იქნება. ბევრნი არიან ისეთი კაცები, რომელნიც თუმცა თაობიდან ცოდვილნი არ ყოფილან, მაგრამ შემდეგ ჩავარდნენ ბევრ ცულ საქმეებში თავიანთი მოუფიქრებლობისა და არა სიწმინდრისა გამო. ამიტომ ყურადღებით იყავ, შვილო ჩემო, და თუ დაინახო, რომ შენი მწყემსი სიმართლეს გელაპარაკება, მიიღე მისი კეთილი რჩევა, რომელსაც იგი შენ გაძლევს.

აი პირველად რას გეტყვი: განა მართალი არ

არის, და ამაზე შენც დამეთანხმები, რომ სარწმუნოებას და კეთილ საქმეს არავინ არ შეუტრცხვინია, პირიქით, სარწმუნოება და კეთილი საქმეები აპატიოსნებენ კაცს ყველა პატიოსანი კაცების თვალში, და არა მარტო პატიოსანი კაცთა წინაშე, არამედ ცოდვილთა წინაშეც. რისთვის ცდილობ შენ, საყვარელო შვილო ჩემო, რომ განსხვავდე დაბალო ხალხისაგან იმით, რომ არ გინდა აღასრულო სარწმუნოების ზოგიერთი წესები, რომელიც, მართალი რომ თქვას კაცმა, შეადგენს გარეგანს კანს? კანი არის ნაყოფის გარეგანი სახვევი; ამ კანით იცნობება ნაყოფის ვინაობა. ეს კანი ნაყოფის ინახავს ხილს. თუ შენ მოსპობ ღვთის თაყვანის ცემლობის გარეგან ნიშნებს, შენ ამით უარყოფ სარწმუნოებას; ყური მიგდე მე, გირჩევ დაუახლოვდე უბრალო ხალხს: ამით შენ უფრო პატივცემულ იქნები. რამდენათაც შენ ხალხზე ზევით დგახარ, მით უფრო პატივცემული იქნები, მით უმეტეს მიიღებენ შენგან დარიგებას, როცა დაინახვენ, რომ შენ მათთან ერთად ასრულებ ქრისტიანულ ყველა წესებს.

მეორედ, სულ უგულო უნდა იყოს კაცი. სულ უქმად იჯდეს და სრულიად არაფერი არ მოიქმედოს თავისი ცხოვრებისათვის, როცა გაუნათლებელნი და უბრალო ხალხი ცდილობენ თავისი სულისათვის და შეძლებულნი კი არა. ისინი ზიარობენ წელიწადში რამდენიმე გზით, შენ კი, რომელსაც შეძლება გაქვს, რამდენიმე წლის განმავლობაში ძლივს-ძლიობით ბედავ ერთხელ ზიარებას. ისინი ადვილად ივიწყებენ წყენას, და შენ კი ხან მთელი წელიწადი გულში ინახავ შურს. მათ არ უწყიან სამარცხვინო საქმეები და ცოდვები, რომელსაც შენ ადვილად ჩადიხარ, თითქო ამაში არაფერი სამარცხვინო არ იყოს. საუკირო არ არის ამაზე მეტი გელაპარაკოთ. შენი მიწის მუშა, შენი მოსამსახურე ახარებს ცას, რომელსაც შენ კარგავ. შენ გაცილებით უკან რჩები მათ, რომელთაც შენ ზრძანებლობ, და ღვთის წინაშე კი ისინი გაცილებით შენზე წინ არიან: ეს ამტკიცებს, ჩემო შვილო, რომ შენში არ არის გული.

როცა შენ კეთილ-მსახურების გარეგან მოვალეობათ არაფრად არ ავდებ, შენ ცოდებ სიმართლის და პატიოსანების წინააღმდეგ. ის არღვევს სიმართლეს და არც პატიოსანი კაცია, ვინც ყველას იმ პატივით არ ექცევა, როგორიც თითოეულს შეფერის. მაშასადამე, რამდენადაც შენ მალლა ხარ

ხალხზე, მით უმეტეს ვალდებული ხარ უჩვენო მათ კეთილი მაგალითი. ეს აუცილებელი და უსაჭიროესი ვალია. რა გამოვა შენი საქციელისაგან, თუ შენ ნაცვლად კეთილი მაგალითისა, უჩვენებ მას ცუდ მაგალითს? შენ ემსგავსები იმ მდიდარს, რომელიც არა თუ არ აძლევს ღარიბს მის ხვედრ ნამუშევარს, არამედ სხვასაც სტაცებს. თუმცა ყველა ეს მიზეზები, რომელნიც დაფუძნებულნი არიან სარწმუნოებაზე. რომელსაც შენ აღიარებ, პატიოსნების გრძობაზე, რომლითაც შენ თავი მოგაქვს, საკმაონი არ არიან დაგაჯერო და დაგარწმუნო შენ, მაშინ მე კიდევ დავძენდი, რომ შენი სარგებლობისთვის საჭიროა, რომ ხალხს უყვარდეს სარწმუნოება და ასრულებდეს მის დადგენილობათა.

რამდენათ მომეტებული იქნებიან ხალხში ქეშმარიტი ქრისტიანენი, მით უმეტეს პატივცემული იქნები შენ მათგან. შენი მიწის მუშაკნი, შენი მოსამსახურენი, შენი მყიდველნი, და ისინიც, რომელნიც შენზე ყიდიან რამეს, რომელნიც შენთვის მუშაობენ, ყველა ესენი ეცდებიან, რომ შენი სარგებლობა დაიცივან, შენი ერთგულნი იქმნენ, მომეტებულად ეცდებიან, რომ შენი რწმუნება დაიმსახურონ. ამიტომ მიეცი მათ კეთილ-მსახურების მაგალითები და უჩვენე მათ, რომ ქრისტეს მცნების აღსრულება აუცილებლად საჭიროა ქრისტიანე კაცისათვის. რამდენათაც შენ ხალხზე მაღლა დგახარ სიმდიდრით ანუ სამსახურით, იმდენად უფრო ერთგულად უნდა ემსახურებოდე ღმერთს და მტკიცედ უნდა ასრულებდე მის მცნებას.

შვილნო ჩემნო, როცა დაინახოთ, რომ ვინმე ნამდვილ ქრისტიანულად ვერ იქცევა, ნუ დასცინებთ მას და თქვენს თავს ნუ აძლევთ უპირატესობას. პირიქით იფიქრეთ, რომ ღვთის განგებულებას რომ ისინი თქვენ მდგომარეობაში ჩაეყენებია, შეიძლება ისინი უფრო ქეშმარიტი ქრისტიანენი იქნებოდნენ. იცოდეთ, რომ მათში არიან ქეშმარიტნი ქრისტიანენი, რომელთა კეთილ მსახურება გაცილებით სჯობია თქვენსას და საჭიროა, რომ მათ კეთილ-მსახურებას მიბაძოთ. ისე მოიქეცით, რომ საყვედური არ დაიმსახუროთ. ხშირად თქვენ ერთის შეხედვით ღვთის თაყვანის ცემას, თითქო, ბევრთად ასრულებთ, მაგრამ ამავე დროს თქვენ ხართ ფიცხი, ცრუ, მატყუარი, ტყუილად ფიცულობთ, მთვრალობთ, ქურდობთ, და თქვენ კეთილ-მყოფელთ შესაფერ პატივს არა ცემთ.

ზევით ვთქვით, რომ უბრალო ხალხი წელიწადში რამდენიმე გზით ზიარობს თქო. ამაზე ზოგიერთები ამბობენ, იგინი, მართალია, ზიარობენ, მაგრამ კეთილ სინდისიერობა და პატიოსნება მათში ნაკლებად არის. წირვას, მართალია, არ დააკლდებიან, მაგრამ ღამით ანადგურებენ ჩვენ ბალებს, ხილს არ გვარჩენენ. ისინი ღვთის მოშიშნი არიან ტაძარში, ლოცვილობენ, მუხლს იყრიან, მაგრამ ტაძრიდან პირდაპირ სამიკიტნოებში გარბიან, თვრებიან, და მაშინ მარტო ღვთის საწყენი და უზრდელი სიტყვები გესმისთ მათგან.

ასეთი სიტყვები მე ხშირად გამიგონია. ვფიქრობ, რომ ეს გადაჭარბებულია, მაგრამ არც ის შემძლია ვთქვა, რომ ეს სულ ტყუილი იყოს. ამიტომ ეცადეთ, რომ თქვენც არ ჩავარდეთ ამისთანა ცოდვებში, ნუ მთვრალობთ სამიკიტნოებში, მოერიდეთ ღვთის საწყენს და უზრდელ სიტყვებს. ყოველთვის გულ-მოდგინეთ იმუშავეთ, ნურავის მოატყუებთ, უსამართლოდ ნურავის მოექცევით. პატივი ეცით ყველა მათ, რომელნიც ღვთის განგებულებით თქვენზე მაღლა დგანან, როგორც კეთილთ, ისე ბოროტთ: თქვენი საქმე არ არის მათი განსჯა. მაღლობელი იყავით, როცა ისინი სიკეთეს გიშვებიათ, გეწვივიათ ავთამყოფობის ანუ სხვა შემთხვევის დროს, როცა შემწეობა თქვენთვის საჭიროა. ერთი სიტყვით ეცადეთ, რომ მარტო გარეგნობით კი არ იქმნეთ ღვთის მოშიშნი, არამედ ნამდვილად გაქენდეთ ღვთის შიში და სიყვარული, რომელთაც შეადგენს ღვთის მცნების აღსრულება და უარ-ყოფა ყოველივე მისი, რაც ღვთისგან აკრძალულია, კმაყოფილი იყავით მცირეთიც.

დაბოლოს უნდა გვახსოვდეს, შვილო ჩემნო, რომ ყველა ჩვენ ვემსახურებით ერთ უფალს, რომ ჩვენ ერთმანეთის წევრნი ვართ, ვინაიდან თავი ჩვენი არის იესო ქრისტე. ქრისტე არ უტკერის არც სიღარიბეს, არც სიმდიდრეს, არც წოდებას, არც ჩამომავლობას. მის წინაშე ყველა ხალხნი თანასწორნი არიან, მხოლოდ არჩევს მათ მათი კეთილი და ბოროტი მოქმედებით.

მოგვანიჭე ჩვენ, მაცხოვარო, წრფელი სარწმუნოება, მორჩილება, წრფელი გული. განანათლე და მოაქციე სულნი ჩვენნი; ჩაგვაგონე, რომ ქეშმარიტი

კოდნა იმაში მდგომარეობს, რათა გიცნათ შენ და შევიგნოთ, რომ ჭეშმარიტი დიდება ჩვენთვის არის შენი სამსახური, რომ ჭეშმარიტი ნეტარება იმაში მდგომარეობს, რომ შეგიყვაროთ შენ როგორც ამ ქვეყნად, ისე იმ ქვეყანაში. სწორეთ ამ ნეტარებას ვისურვებ თქვენთვის, ჩემო შვილნო.

ქრისტიანობის მღვწელთა სიკვდილი.

მრავალია მწუხარება მართალთა; მაგრამ პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი მათი, მათი დიდება და ნეტარება დაუსრულებელია. ხან-დის-ხან ქვეყანაზე დღესასწაულობენ დიდი ცოდვილნიც კი, მაგრამ სიკვდილი მათი უბედურია, მათი სახელის გატეხა და სიკვდილით დასჯა დაუსრულებელია. ეს ჭეშმარიტება ცხადათ დაამტკიცა ქრისტიანობის მღვწელთა სიკვდილმა, რომელნიც განაგებდენ რომის იმპერიას წმ. კონსტანტინემდე. დიოკლიტიანე, რომელიც ათი წლის განმავლობაში დევნიდა ქრისტიანობას, ექსორიზმის დროს მოკვდა სევდისა და მწუხარებისაგან. გადერი ცოცხლად დაღვა და შექმულ იქნა ჭიებისაგან. მაქსენტი, დამარცხებული კოსტანტინეს ჯარისაგან, ჩავარდა ტიბრში, დამხრჩვალ და გათელილ იქნა მისივე უკან მომყოლი ჯარისაგან. მაქსიმიანე ისეთს უკიდურესობაში ჩავარდა, რომ თვითონ დაიჭრა თავისი ძარღვები. მაგრამ ყველაზე საზარელი იყო სიკვდილი მაქსიმინისა. იგი დაკეტილ იქნა თარსში და რადგან ხსნას არ ელოდა არავისგან, ადგა და მოიწამლა თავი. მაგრამ რადგანაც მისი კუჭი გამსილი იყო, იმიტომ საწამლავმა მალე ვერ იმოქმედა, მის კუჭში მოახდინა წყლული რომელიც ღრღნიდა მის შიგნეულს. ნამეტანი აუტანელი წვალებისაგან მაქსიმინი ბრაზდებოდა, ხელებით ფხოკნიდა მიწას და ჭამდა მას, თავს ისე აჩაჩქუნებდა კედელზე, რომ თვალები წამოარდა, მხოლოდ მაშინ, როცა დაბრმავდა ხორციელად, იხილა ჭეშმარიტი ღმერთი, ძე მღვთისა, რომელსაც გარს ერტყნენ ანგელოსები, მას ესმის თავის თავის განსჯა, ხედავს თავის დამნაშაობას და ეხვეწება ღმერთს, რათა მან შეიწყალოს მისი მონანება. (რუსულ.)

დათიკო ლამბაშიძე.

მომეტებული ღვინის სმის დამლუპველობა.

ღვინის სმისადმი მიმზიდველობა ყველა ვნებაზე დამლუპველია კაცისათვის, იმიტომ რომ შეპყრობილი ამ ვნებით ილუპამს სულსაც და ხორცსა და ანადგურებს თავის ოჯახს და მთელ თავის საცხოვრებელს ღუპავს ღვინოში, როგორც უძირო მორევში. ლოთი ემსგავსება თავის მკვლელსა, ვინაიდან ღვინო წვავს მასში მთელს შინაგანს, და იგი კვდება იმაზე ადრე, რაც შეეძლო ეცხოვრა. ასეთ კაცის სულს იტაცებენ სხეულიდან ეშმაკები და ავდებენ დაუქრობელ ცეცხლში, იქ, სადაც არის საუკუნო გოდება და ღრჭენა კბილთა, ცეცხლი დაუქრობელი, ჭია დაუძინებელი და ბნელი უხილავი. სიმთვრალე არის დედა ყველა ცუდ ვნებათა, ყველა იმ საქმეთა, რომელნიც განაარისებენ ღმერთსა: ყველა დანაშაულობანი ხდებიან ხოლმე მთვრალობის დროს. წმინდა ბასილი დიდი ამბობს: „ლოთი კაცი კარგავს ჭკუას, ემზავსება უნო ოთხფეხთ და ხშირად მათზე უჭკუო ხდება. ლოთი კაცი მუდამ ფიქრობს მრუშობაზე, სამარცხვინო ვნებებზე და ყოველ გარყვნილებაზე“. ლოთი არის თავშესაფარი წყეულ ეშმაკთა და გოდება ანგელოზთა. ლოთი ამდაბლებს არა მარტო თავის წოდებას, არამედ კაცურ ღირსებასაც კი, -ის საზიზღარია ღვთის წინაშე. «ლოთები», იტყვის პავლე მოციქული, არ დაიმკვიდრებენ სასუფეველსა ღმრთისასა (აკორ. 6 10).

„სანამდინ იქნება ღვინო? სანამდინ იქნება ლოთობა? ამბობს მსოფლიო მასწავლებელი ვასილი დიდი: „მარხვა განკურნებს ლოთობას, ფსალმუნის საგალობელნი მოსპობენ სამარცხვინო საგალობლებს, დეე ცრემლებმა განკურნოს სიცილი, ნაცვლად თამაშობისა მუხლი მოიყარონ ლოცვის დროს, ნაცვლად ტაშის კვრისა, თითებით გამოისახეთ პირჯვარი; ნაცვლად ღამაში ტანთ საცმელისა, შეიმოსეთ მორჩილებით. ყველაზე მომეტებულად შენ გიხსნის შენი ცოდვებისაგან მოწყალება. ანუგეშე გაჭირვებულნი მოწყალებით და ისინი ილოცვენ შენთვის, რათა განგემოროს შენ ყოველი ბოროტი გულის თქმა, დამლუპველი ვნება და ამ სახით ცხოვრები“. რომ კაცი განთავისუფლდეს ღვინის სმის დამლუპველი მიმზიდველობისაგან, უნდა გადინადოს სამადლობელი პარაკლისი უფალის, ღვთის მშობლის ღმ განმკურნებელ პანტელეიმონის სახელზე. უნდა იკურთხოს წყალი და ეს ნაკურთხი წყალი უნდა სვას მუდამ. უმთავრესად საჭიროა, რომ სახლში ვილოცოთ, ხშირად ვიდოდეთ საყდარში და უხვათ უნდა ვასაჩუქრებდეთ გლახებს: ამისთანა მსხვერპლით იდიდება ღმერთი და იგი იხსნის კაცს დაღუპვისაგან. (რუსულ.)

დათიკო ლამბაშიძე.





სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

შავი ჭირი და მისი მოლოდინი.

(წერილი ექიმი სეგალისა)

დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ხოლო-რამ, ამ საზიზღარმა დაუპატიჟებელმა აზიელ სტუმარმა თავზარი დაგვცა და მისგან შეშინებულს და განადგურებულს წელის გაძარტვა ვერ მოგვისწრია, რომ მეორე ამაზედ უარესი და უმაგნესი იმავე ქვეყნელი სტუმარი - შავი ჭირი გვიახლოვდება. შავი ჭირი ყველგან და ყოველთვის შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზედ და თავის დამლუბველს კვალს აჩენს მის ცხოვრებაში. შავი ჭირი კაცობრიობის ერთი უსაშიშრესი და უმაგნებელესი მტერთაგანია. ის ყოველთვის დაუზოგველად ჟღერდა და ანადგურებდა ხალხს. შავი ჭირის მარტო ერთი გაგონება ზარს დასცემდა ხოლმე ხალხს, რომელმაც არ იცოდა საით ეძებნა თავშესაფარი ადგილი, შეშინებული ასკდებოდა ტყეს, ველს, და უდაბნოს. ამ დროს თითქო განგებ მას თან მისდევდა შავი ჭირიც, კვალში უდგა და დამალვის ღონის ძიებას არ აძლევდა— ყველგან ჟღერდა და ხოცავდა. მთელი ევროპა და მასთან რუსეთიც რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში არა ერთხელ გამხდარა ამ საშინელი სენის მსხვერპლათ. მე-14 საუკუნეში ისე გამძინვარდა ეს სენი, რომ აზიაში, აფრიკაში და ევროპაში 134 წლიდგან დაწყებული 1352 წლამდის თითქმის მთელი მცხოვრებლების ერთი მესამედზედ მეტი გაჟლიტა. ქაიროში მაგალ. დღე-და-ღამეში კვდებოდა ათას-ათასი სული, ლონდონში დაიხოცა მთელ ქალაქში მცხოვრებთა ცხრა მეათედი. რუსეთის ორი ქალაქის გლუხოვის და ბელოოზერსკის მცხოვრებლები მთლათ ამოწყვეტა და სმოლენსკში 1386 წ. დარჩა ცოცხალი მხოლოდ ათი სული. მოსკოვში ამ ავთამყოფობით 1770 წლიდან დაწყებული 1871 წლამდის დაიხოცა-ას-ოცდა-ათი-ათასი სული. რასაკვირველია არც კავკასია დარჩენილა მის უკბილოთ, რადგან

მგზავრს, აზიაში წამსვლელს უსათუოდ კავკასიაში გზათ უნდა გამოევილო. დაბოლოს დროს, ესე იგი 1844 წ. ჩინეთის ქალაქებში კანტონში და გონკოვში მთლად მუსრი გავლო მცხოვრებლებს. დღეს კი ინდოეთის ქალაქ ბომბეიაში მეფობს და თავის ბასრი ცელით დაუზოგველად მუსრავს მკვიდრთა. ეს ქალაქი ინდოეთის უმაგნესი სავაჭრო ქალაქია, იგი მთელი ვაჭრობის და ევროპასთან მისვლა-მოსვლის შუაგულია. შავი ჭირი ამ ქალაქში მძინვარებს შარშან ეკენისთვიდან დღემდის და ცეცხლის მზგავსად ედება ხალხს და თან-და-თან ძლიერდება. ევროპა შორიდგან უცქერის ამ საშინელ სენს, ძრწის და თახთახობს მისი ერთი ნაპერწკლის გადმოვარდნით და საშუალებას ეძიებს, რამეფრად მისგან თავი დაითაროს. კავკასია, თავის გეოგრაფიული მდებარეობით, პირველათ უნდა შეხვდეს მტერს, საიდგანაც არ უნდა გვეწვიოს იგი, შავი თუ კასპიის ზღვებიდგან. მართებლობამ თავის დროზედ მიიღო ყოველ გვარი საშვალეზანი, რომ ამ სენს წინ აღუდგენ და ჩვენში არ შემოაუშვან, მაგრამ არც მარტო მართებლობის ზრუნვა გვეყოფა, არც მარტო სხვისი დარიგებით და ზრუნვით გამოვა რამ, თუ ისევე ჩვენც ერთგულათ, მამაცურად, და საბრძოლველად სრული მომზადებულნი არ დაგვხვდებით წინ და ბასრის იარაღით ამ დაუპატიჟებელ სტუმარს შესაფერათ არ გაუმასპინძლდებით. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, რა სახით ჩნდება ეს ავთამყოფობა, თუმც შავი ჭირით ავთამყოფობა ყველა ავთამყოფობისაგან განირჩევა, მაგრამ პირველად მიინც ისეთ სუსტ და ჩვეულებრივ სახით ჩნდება, რომ ხშირად გეგონებათ რაიმე სხვა ავთამყოფობა და არა ჭირი. ამ გვარ ფარულად მოგეპარებათ და გეგონებათ ან ცივება ან ციმბირის ჭირი, ან ხურვება, ან ფილტვების ანთება და ან კიდევ სხვანი. ამ გვართ, როგორც ექიმები აგრეთვე ჭირისუფალნიც სცდებიან, სხვა ავთამყოფობა ჰგონიათ და დაუწყებენ წამლობას. ეს საშინელი სენი ჩუმათ და ეშმაკურად, მათ შეუმჩნეველად შემოეპარებათ და გაიდგამს ფეხს ავთამყოფის აგებულობაში. ექიმების ამ გვარი შეცდომების შემწეობით იყო, რომ ეს სენი ასე გავრცელდა და მიიღო ეპიდემიური ხასიათი; ამისათვის საჭიროა ექიმმა იმ წამსვე მიიღოს ღონის ძიება და უწამლოს ავთამყოფს ამ სენისაგან, ვიდრე იმის გარჩევაში დაკარგავდეს დროს, თუ რა სენით არის შეპყრობილი მისი ავთამყოფი. უმჯო-

ბესია პირველად შეცდეს, ვიდრე დაგვიანებულ შეცდომის შემდეგ წამლობა. ნამეტან სიფრთხილეს აი სწორეთ აქ აქვს ადგილი. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ხალხმა იცოდეს, თუ როგორ უნდა მოუაროს თავის ავთამყოფს მაშინ, როდესაც მის ახლო მახლო ეს ქირი არის გაჩენილი; ხალხი უნდა დაწმუნებული იყოს იმაში, რომ ამ შემთხვევაში ერთი წამის დაყოვნებას საქმის სრულებით გაფუჭებაც შეუძლია და გაკეთებაც. გახდება თუ არა ვინმე ავთ, იმ წამსვე უნდა აცნობოს ექიმს და ექიმი დროზევე მიიღებს ყოველ გვარ ღონის ძიებას, როგორც ავთამყოფის სიკვდილისაგან გადასარჩენლად ისე ტანმრთელ მკვიდრთა დასაცველათ.

როგორც ყველა ამ გვარი ავთამყოფობანი ისე შავი ქირიც იმალება ავთამყოფის აგებულობაში ხუთიღვან შვიდ ანუ ათს დღემდის. სანამ ეს დრო არ გაივლის, ვერაფერს ვერ შეატყობს ავთამყოფს; როდესაც ექიმი რწმუნდება, რომ ავთამყოფი შავი ქირით არ არის შეპყრობილი, ძლიერ ფრთხილად უნდა მოიქცეს.

ეს სენი ორ გვარია: ერთი ჩნდება ჯირყვლებათ და უწოდებენ ჯირყვლოვან ქირს, მეორე კი ფილტვებში და უწოდებენ ფილტვოვანს ანუ შავ ქირს. თვითონ ამ სახელწოდებაში იხატება მათი განმარტებაც; ესე იგი ერთის ნიშნებია ჯირყვლები — მეორესი კი ფილტვების ავთამყოფობა. ჯირყვლოვანი ქირი არ არის საშიში; ფილტვოვანი კი ძლიერ საშიშოა. ამ უკანასკნელ ქირს ავთამყოფი ძრიელ იშვიათად რჩება. ფილტვოვან ქირით ავთამყოფი უცებ კვდება, სულ სამი ან ოთხი დღე ავთამყოფობს. დაიწყება ეს ავთამყოფობა ფილტვებიდან სისხლის ხველებით, მკრალი სუნთქვით და ორ სამ საათის განმავლობაში ავთამყოფი სრულებით ჰკარგავს ძალას და სუსტდება, პირის სახეზედ მკრთალი ფერი გადაეკვრის, სიცხეს მოუმატებს, ყვინთვას მოგვრის, შემდეგ ბოდვასაც დააწყებინებს და მთელი სხეული რაღაც შავი წინწყლებით დაიფარება. სწორედ ეს უკანასკნელი ნიშანია მიზეზიც, რომ ამ სენს შავ ქირს უწოდებენ. ჯირყვლიდგან ქირით ავთამყოფი ხშირად რჩება. სანამ ეს ქირი მოარულ სენათ გადაიქცეოდეს სულ სხვა-და-სხვა გვარად ჩნდება ხალხში. ხან-დის-ხან ავთამყოფი გაცივებით დაიწყებს ავთამყოფობას, ხან-დის-ხან სრულებითაც არ გააცივებს; არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ეს

სენი ერთ დღეს კიდევაც გაჩნდება და კიდევაც გათავდება, ერთგვარ ცივების მგზავსად, ასე რომ მეორე დღეს ავთამყოფი მხოლოდ მისთვის გრძნობს როგორც ცივებიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი ნიშანი ჯირყვლების ჩამოსვლია. მხოლოდ ამით შეგიძლიათ, რომ იცნოთ იგი და აღვიაროთ ქირათ. როდესაც ეს სენი მოარულ ხასიათს ღებულობს, მაშინ იხატება მთელი მისი სახე-სურათი და ამისათვის საჭიროა უფრო დაწვრილებით აიწეროს იგი. ამ სენით შეპყრობილი ავთამყოფი პირველად რაღაც სიცხის მომატებას იგრძნობს, შემდეგ ყოველ სხეულში სისუსტეს და მოსხლეტილობას ატყობს. ამ დროს ისინი მთვრალ კაცს ემზავსებიან; რადგან თვალები აღვრეული და დაწითლებული აქვსთ, სიარულის დროს ბანცალობენ, ენა ეშლებათ და რაღაც გაუგებრათ ლაპარაკობენ. შემდეგ ავთამყოფობა იცვლის ნირს: საშინელი თავის ტკივილი, თავბრუ, და სისუსტე; ჯირყვლები ჩამოუვა ილლიებში, ბარძაყების დასაწყისში და სხვანი. ავთამყოფი უფრო ცუდათ გრძნობს თავის თავს. სიცხე 41⁰ აღის. ცნობა ეკარგება, ბოდვას უმატებს, ხან-დის-ხან ბოდვა სიგიჟეთ ექცევა, სახე გაუწითლდება და ზედ ნამეტანი სიცხისა და წყურვილის გამო რაღაც მწუხარება და ტანჯვა იხატება. ენა მაშინვე გაუშრება და უსკდება; გადაეკვრის შავი კანი; ავთამყოფს აუტყდება გულის ყრა და პირის ღება. მუცელი წამოებერება, ხან გახსნის მუცელში და ხან შეპკრავს, შარდი შეუკავდება. შემდეგ დააწყებინებს სისხლის პირის ღებას ან ხველებას და კიდევაც კვდება. საშიშო 3—4 დღეა, თუ მოსარჩენი პირი აქვს ავთამყოფს — ოფლი მოუვა. ამ დროს გადაწყდება მისი ბედიც. თუ ავთამყოფობა 5 დღეზედ მეტი გაგრძელდა — ეს კარგი ნიშანია და მოარჩენის იმედიც უნდა გქონდესთ. სანუგემოა აგრეთვე თუ ჯირყვლები დამწიფდებიან; ეს ჯირყვლები ძრიელ ჩქარა იზრდებიან; ორი დღის შემდეგ თითო ჯირყვლი გარეულ თხილის ოდენაა გაზრდილი, შემდეგ თანდა-თან იმატებს და გახდება ლიმონის ოდენა, ხან მეტიც.

გულზედ, კისერზედ, მუცელზედ და ბარძაყებზედ დაყრის შავ წინწყლებათ; ეს წინწყლები ემზავსებიან რწყილის ნაკბენს და ხან-დის-ხან მუხუდოს ტოლაც არიან. ეს წინწყლები პირველად ძრიელ ცოტანი არიან, შემდეგ გამსხვილდებიან და უფრო

შავდებიან. უფრო შესამჩნევი ნიშანი ამ სენისა კიდევ ის არის, რომ როდესაც გამძვინვარდება ავთომყოფის ტანზედ რაღაც წითელი და მაგარი წინწყლი დააჯდება, ეს წინწყლი თანდათან იზრდება და ბუშტათ გადაქცევა. ხან-დის-ხან, ერთ ადგილას რამდენიმე პატარ-პატარა ბუშტები ჩნდება და ხშირად ეს ბუშტები ერთმანეთში შეერთდებიან და ერთ კარგ მოზრდილა ბუშტათ იქცევიან, რომელიც სავსეა რაღაც ღვრია წვენიით. ამ ბუშტს ძირი უფართოვდება და უმაგრდება; ერთი შეხედვით დამწვარს მოგაგონებსთ. როდესაც ეს ბუშტი სკდება, მის ადგილას დამწვარი ხორცილა გამოჩნდება.

შავი ჭირი თუ ერთხელ დამართვია ადამიანს მეორეთ აღარ დაემართება. ამ გვარია შავი ჭირი და მისი ნიშნები. იგი ჩნდება პირველად ინდოეთში და ჩინეთში. მშვენიერი და მდიდარი ბუნება ამ ქვეყნისა არ არის ამისი დანაშაული. ამაში ისევ ადამიანია დამნაშავე; იგი თავის ბინძური და თითქმის ცხოველის მზგავსს ცხოვრებით აჩენს ამ გვარ სენს. ინდოეთლები გვერდში უწევლან საქონელს და იმათ გვარად სცხოვრებენ. ძროხები, თხები და ღორები ხშირად ერთად სცხოვრებენ კაცებთან ერთს ვიწრო და ჩაბნელებულ ქოხში, სადაც წამხდარი და მყრალი ჰაერით სუნთქავენ. ჰამენ ძრიელ ცუდ საქმელს ჯა სვამენ მყრალ და დამპალ ტბის წყალს. ყოველგვარ სიბინძურეს და ნაგავს ხედავთ მათ ეზოებში, რაიც სწამლავენ ჰაერს, აფუჭებენ ნიადაგს და შემდეგ ამ გვარ მოწამლული ჰაერით საზრდოებენ. რადგან დიდ ხნობიდან მოწამლულია ინდოეთის და ჩინეთის მიწის ნიადაგი ამისათვის, ჩნდება იქ: ხოლერა, შავი ჭირი და სხვანი. ამ გვარ ნიადაგში იმალება ეს სენი ბუტუტავს ნაპერწყალივით და როდესაც შეხვდება, ადვილად მოსაკიდებელ საგანს — გაჩნდება დიდი ცეცხლი და მოედება გარშემო არე-მარეს. ამ გვარ ადვილ მოსაკიდებელ საგანს შეადგენენ ადგილობრივ მცხოვრებლები ინდუსები და ჩინელები, რომლებიც ცუდი საზრდოებისა გამო სუსტნი არიან და ავთომყოფობაც მათში მაგრათ იკიდებს ფეხს.

თეოფ. ხუსკივაძე.

დასასრული შემდეგში.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეიძლება თუ არა, რომ რამდენიმე გარდაცვალებულს ერთად აუგონ წესი, ანუ პანაშვიდი გადახადონ, როდესაც ერთსა და იმავე დროს გარდაცვალებულნი ასვენიან ტაძარში ანუ კერძო სახლში?

მიგება. შეიძლება.

კითხვა. საჭიროა თუ არა მოძღვრისაგან მიეცეს მოწმობანი საქორწინოდ გამზადებულთა პირთა, როდესაც იგინი არიან ორ-შტატისანი ეკკლესიის სამრევლოისანი, მაგრამ ჰყავთ თავიანთი მღვდელი?

მიგება. თუ ამ ორ-შტატისანი ეკკლ. მღვდელმა დაწვლილებით იცის ვინაობა მეფე-დედოფლისა, ჩვენის აზრით, მაშინ საჭირო არ არის მოწმობის მიცემა. საკმაოა ობისკში მოიხსენიოს მღვდელმა, რომ სასძლო და სასძიო იმა მრევლისანი არიან.

კითხვა. შეიძლება თუ არა ორი-სამი ბავში ერთ ემბაზის ნაკურთხ წყალში მოინათლოს?

მიგება. შეიძლება. ჩვენ დავესწარით ერთ დროს პეტერბურგში, ყაზანის საკრებულო ტაძარში, სადაც ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ ამ ტაძრის ერთმა პატრივცემულმა დეკანოზმა ერთ ემბაზის ნაკურთხ წყალში მონათლა ოცი ყმაწვილი. ყველა ყმაწვილები ემბაზის ირგვლივ ეჭირათ ხელში. ყველას ერთად წაუკითხა შეფუცების ლოცვა, მაგრამ იქ, სადაც საჭირო იყო მოსანათლავე ყმაწვილის სახელის მოხსენება, ანუ შეფუცების დროს სულის შებერვა, სათითაოდ აღასრულებდა ყოველივე საჭიროს — და ემბაზშიაც ცალცალკე ჩაჰყავდა ყმაწვილები.

ამის შესახებ ჩვენ, როგორც გვახსოვს, გვექონდა განმარტება დაბეჭდილი ჩვენს გამოცემაში და ვისაც ესაჭიროება ამისთანა ცნობები, გადახედოს ჩვენი გამოცემის ნომრები და რაც იქ ერთხელ უკვე განმარტებულია, მეორედ ნულარ გაგვამეორებინებენ.

კითხვა. ვის უნდა ეჭიროს მოსანათლავე ბავში შეფუცების, ზეთისა და მირონის ცხების დროს?

მიგება. როცა ქალი ინათლება, მოსანათლავე უნდა ეჭიროს ნათლია ქალს და როცა ვაჟი — ნათლია კაცს, მაგრამ დიდად არ დააბრკოლებს საქმეს, თუ მოსანათლავს, ქალი იქნება იგი თუ ვაჟი, დაიკავებს კაცი.

კითხვა. საჭიროა თუ არა ეკკლესიაზე მისვენების დროს გარდაცვალებულის გვამის ტაძრის გარშემო შემოტარება „წმიდაო ღმერთო-“ს გალობით?

მაგება. ჩვენი ეკკლესიური ტიბიკონი ამგვარი წესის აღსრულებას არ თხოვილობს, მაგრამ, თუ ასეთი ჩვეულება ადგილობრივ უხსოვარის დროიდან არსებობდა, მაშინ წინააღმდეგი არ იქნება, რომ ჭირისუფლის სურვილი დააკმაყოფილოს კაცმა.

კითხვა. არის თუ არა საჭირო, რომ «დიდი გამოსვლის დროს» ხელმწიფის სახლეულობის მოხსენების შემდეგ მღვდელმა მოიხსენიოს ის, ვისიც მწირველია?

მაგება. არ შეიძლება.

კითხვა. რიგია თუ არა უწ. სინოდის და ადგილობრივი მღვდელ-მთავრის მოხსენების დროს წირვაზე: «პირველად მოიხსენე, უფალო, უწმიდესი და უმართებელესი სინოდი»... როდესაც ამ მოხსენებას ამბობს არქიმანდრიტი, მეორე მწირველმა მოიხსენოს ეს არქიმანდრიტი ისე, როგორც მღვდელ-მთავრის წირვის დროს თვითონ მღვდელ-მთავარს მოიხსენებენ ხოლმე?

მაგება. მრავალს ადგილას დავსწრებივართ არქიმანდრიტის წირვაზე რუსეთში, მაგრამ არსად არ შეგვხვედრია, რომ არქიმანდრიტს იხსენიებდენ ისე, როგორც მღვდელ-მთავარს. რომ ეს საჭირო ყოფილიყო, არ შეიძლება რომ კონდაკში არსად მოეხსენებიათ. და რაც კონდაკში და ტიბიკონში არ სწერია, იმას არც არავინ უნდა ასრულებდეს.

კითხვა. შეიძლება თუ არა, რომ მღვდელმა თავის მოძღვართ-მოძღვარს გარდა აღსარება უთხრას სხვა მღვდელს? და ამისთანა მღვდელი დამარღვევლია თუ არა მოციქულთა მე-32 კანონისა?

მაგება. მოციქულთა მე-32 კანონს სახეში ჰყავს ის მღვდლები, რომელთაც დანიშნული აქვსთ მოძღვრისაგან მონაწილეობა და ამ მიზეზისა გამო გარბიან სხვა მოძღვართან. თუ ამისთანა მიზეზი არაფერია, მაშინ ყველას შეუძლია აღსარება უთხრას სხვა მღვდელსაც თავის მოძღვართ-მოძღვრის გარდა. უკანონობა იქნება, რომ ასეთი ნება მიეცეს ერის კაცს და მღვდელს კი არა. ამას გარდა მედავითნეებს ნება აქვთ დართული თავიანთ სამრევლო მღვდელთან თქვან აღსარება, მაგრამ როგორც მღვდელმა, ისე მედავითნემ მოწმობა უნდა წარადგინონ მოძღვართ-მოძღვართან, რომ იმათ აღსარება უთქვამთ.

კითხვა. ვის სასარგებლოთ მიდის ფულით გაუქმებული ეკკლესიის გაყიდვიდან აღებული დახლოდ აშენებული ეკკლესიის სასარგებლოდ, თუ იმ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელმაც აღაშენა გაუქმებული ეკკლესია?


მაგება. რასაკვირველია, ეკკლესიის სასარგებლოდ, ვინაიდან ეკკლესიები, გარდა სასახლეებისა, არავის საკუთრებას არ შეადგენს, ვისგანაც უნდა იქმნენ ისინი აშენებულნი, ამიტომ ხსენებული ფულები არის საკუთრება მხოლოდ ეკკლესიისა და მარტო ეკკლესიას შეუძლია მოიხმაროს ეს ფულები თავის საჭიროებაზე.

კითხვა. შეუძლია თუ არა მრევლის მღვდელმანება-რთვა მისცეს, რომ მიცვალებული დამარხონ ტაძარში?

მაგება. არ შეუძლია. ამის გარდაწყვეტა შეუძლია ადგილობრივი ეპარქიის მღვდელ-მთავარს. ხოლო ქალაქებში ტაძრებში მიცვალებულის დამარხვის ნება-რთვა უნდა გამოითხოვონ გუბერნატორებიდან.

კითხვა. შეიძლება თუ არა, რომ ნება მიეცეს მრევლთა აღსარება თქვან სხვა სამრევლოს მღვდლებთან მათი სურვილისა და ჯინიანობისა გამო?

მაგება. კანონის ძალით მართლ-მადიდებელი ქრისტიანე ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც თქვას აღსარება თავის მრევლის მღვდელთან (სას. კანსისტორიის წესდების 19, 16, 17 და 97 მუხ. 18, 19 მუხ. XIV ტომისა, გამოც. 1890 წლისა). მაგრამ უწმიდესი სინოდის უქაზის თანახმად 4 თებერვლიდან 1737 წ. ყველას შეუძლია თქვას აღსარება სხვა მრევლის მღვდელთანაც იმ პირობით, რომ წარუდგინონ თავის საკუთარ მღვდელს მოწმობანი, რომ მათ აღსარება სთქვეს. მღვდელი, რომელთანაც სხვა სამრევლოთაგანი მიდის აღსარების სათქმელად, ვალდებულია დაწვრილებით გამოიკითხოს, თუ რატომ აღმსარებელი თავის მღვდელს არ ეუბნება აღსარებას. და თუ დარწმუნდა, რომ აღმსარებელი უბრალო მიზეზისა გამო არ ეუბნება აღსარებას თავის მღვდელს, ვალდებულია მღვდელი, ჩააგონოს მას, რომ იგი თავის მღვდელთან მიიქცეს სააღსარებოდ თუ არ დაიშლის, მაშინ უნდა ათქმევინოს აღსარება.



მათხოჯის დედათა სავანის ქვითკირის ეკკლესიის გეგმა.

მართლ-მადიდებელთა ქრისტიანთა! კურთხევითა და ნებართვითა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, აწ ღვთისძიერ განსვენებულისა, სოფელს მათხოჯში დაარსდა დედათა სავანე 1892 წელში. აქ შეკრებილ, 45 დასახლებულნი შენება თავისი სადგომი სასახლისა ღჩინებულად დაბინავდნ ივანი, 1896 წლის მაისის თვიდგან ლოცვა-კურთხევითა უოვლად სამღვდლო-ბესარიონისათა შეუკრებ ქვითკირის ეკკლესიის შენებას სავანის ეზოში იმა ადგილს, სადაც ერთ დროს უოფილა ჩინებული და შესანიშნავი ეკკლესია, რომლის ნანგრევებს დღემდის მოუწევია, ეკკლესია საფუძველს შემოთხუთ ალაბზეა აშენებული. დღეს მუშაობა შეჩერებულია უფულობისა გამო. ეჭვს გარეშეა კეთილი გავლენა მონასტერთა და სავანეთა ხალხის კეთილ სწეობაზე და სარწმუნოებაზე.

მოვიქცევით თხოვნით, მართლ-მადიდებელ-

თა ქრისტიანთა, აღმოგვიჩინეთ შეძლებისდაგვარად შემწეობა, რომ დემეტრძან მოგაკოსთ თქვენც ასწილად.

ჭეშმარიტად სანუგეშო და სასიხარულო უნდა იყოს უოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის განძრავლება და აღორძინება დედათა სავანეთა და მონასტერთა. ჩვენი ქვეყანა ამ კეთილ დაწესებულებათა მეოხებით იყო დიდებული და სახელგანთქმული და მასვე უნდა მოველოდეთ დღესეც.

უოველ შემწირველთა სახელები აღნიშნული იქნება მოსახსენებელ კონდაკში და მოსხენება ექმნებათ წირვა-ლოცვის დროს. უოველი შემწირულება უოველთვის გამოცხადებული იქნება უურნალს „მწუემსში“. შემწირულებათა გამოგზავნა შეიძლება „მწუემსი“-ს რედაქციაში ღწირდაწირ დაბა ხონში ამ ადრესით: დაბა ხონი, მათხოჯის დედათა სავანის რჩევის თავმჯდომარეს პარასკევას.

მიიღება ხელის-მოწერა 1898 წლისათვის ოკტობრულ გამოცემათა ქართულს

„მწუყემს“-ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუჩის ფასი:

12 თვით «მწუყემსი» 3 მ. 6 თვით «მწუყემსი» 2 მ.

— „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ.

— „ორივე გამოცემა“ — „ორივე გამოცემა“

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილში, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში წერა-კაზმის გამაგრებელ საზოგადოების წიგნის მღაზაში, ბ. შოკოქუაძისა და ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაოვთან; საჩხერეში — ყარაჩან ჩაქვიანთან; სხალდასეში — დეკანოზ დ. ხახუაშვილთან. სხალდასეში — საულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპოდონ ან. ძაჯარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთა ბაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთა ქუჩის დაბარება შეუძლიან ამ აღრესით: Вь Квирлы, вь редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

დაფუძვნი საზოგადოება

„როსსია“

(რუსეთი)

ს. ზეტკებუტკა. ბოლშაია მორსკაია. 37.

ძირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 მ.

საზოგადოების მოქმედება:

დაფუძვან სიყოფილისა

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ საკუთარის მოხუცებულობის, კვლის მზითვის, ვაჟთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელათ, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეველნიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

1897 წლის 1 იანვრისთვის «როსსიის» საზოგადოებაში დაზღვეულ იქნა 941,397 მანეთი 102,694,700 მან.

დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოთ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებულ იქნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

დაზღვევა გასაგზავნის საქონლისა

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გემებისა.

განცხადება დაზღვევის მსურველთაგან

მიიღება და მოვალეზადი ცნობები ეგზავნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37); ტფილისში განყოფილებაში (სერგევის ქუჩა № 6); შუთაისში აგენტს თ—დს ილარიონ ა. მიქელაძეს, (ქარვასლის ქუჩა, თავდაზნაურობის ბანკის სადგომი) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი გილეთები მგზავრებს, როგორც რკინის გზით, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ. 10—2

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიერატურო განყოფილება: რედაქციისაგან. — მეტრიკის წიგნის მესამე ნაწილის საჭიროება ჩვენს მონატრებში. — წერილი რედაქციის მიმართ. — მცირე პედაგოგიური შენიშვნა. — არემა ქართული, ძველი ამბავი (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიარება ქრისტიანობრივ საფუძნოებასა და მეთილ-წნომებაზე: ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი X სიმდიდრეზე. — ქრისტიანობის მღვენელთა სიკვდილი. — მომეტებული ღვინის სმის დამღუბველობა.

საზიკო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: შავი ჭირი და მისი წილოდინი. — საუკვრო კითხვების განმარტება.

— მათხოჯის ღვდათა სავანის ქვითკირის ეკლესიის გეგმა. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 октября 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в о.

Типог. редакції журн. „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой ул.